ლალი გურგენაშვილი

# შიში და იდენტობის კრიზისი ანა ბერნსის რომანში *მერძევე*

1960-1990 წლებში მიმდინარე მწვავე ეთნო-ეროვნული კონფლიქტი ჩრდილოეთ ირლანდიაში მრავალ ისტორიულ თუ მხატვრულ ტექსტს დაედო საფუძვლად, მათ შორის არც თანამედროვე ჩრდილოეთ ირლანდიელი მწერლის, ანა ბერნსის რომანი "მერძევეა" გამონაკლისი. არეულობებად(The Troubles) წოდებულმა სისხლისმღვრელმა პერიოდმა, მრავალი ირლანდიელის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო გადარჩენილებს მძიმე დაღი დაასვა. ბერნსი ამ მოვლენების უშუალო მონაწილეა და სწორედ მის საკუთარ გამოცდილებას ეფუძნება ის დისტოპიური რეალობა, რომელსაც ამ წიგნში ასახავს.

ბერნსმა პირველი რომანი 2001 წელს გამოსცა და მას შემდეგ აქტიურადაა ჩართული სამწერლო-საგამომცემლო საქმიანობაში. მისი წიგნების ძირითადი თემაა სოციო-პოლიტიკური კრიზისი ჩრდილოეთ ირლანდიაში და მისი უშუალო შედეგები მოსახლეობაზე. "მერძევე" 2018 წელს გამოიცა და უკვე ცნობილ ბერნსს ლიტერატურულ ჯილდოებთან ერთად დიდი წარმატება მოუტანა.

რომანში "მერძევე" მოქმედება ჩრდილოეთ ირლანდიაში, 1970იანი წლების უსახელო ქალაქში ვითარდება. ავტორი პირველ პირში თხზავს 18 წლის ასვე უსახელო გოგოს ისტორიას, რომელსაც ბევრად უფროსი მერძევე, რეალურად კი გასამხედროებული იატაკქვეშეთის წევრი შეუჩნდება, რაც ვლინდება ფსიქო-სექსუალური თუ ფიზიკური შევიწროების ფონზე. თხრობა იწყება in medias res – მერძევის სიკვდილის შესახებ პირველივე წინადადებიდან ვიგებთ, თუმცა შემდეგ მთხრობელი ბრუნდება ამბის დასაწყისში და გვიყვება თუ როგორ განვითარდა მოვლენები მერძევესა და გოგონას შორის თავდაპირველად. ამ ისტორიის აღწერით ავტორი აჩვენებს პოლიტიკური ტერორისგან დაძაბული მცირერიცხვოვანი მოსახლეობის სიბრმავეს, რომელიც სიმართლეს თვალს ვერ უსწორებს და მარტივ გამოსავლად გოგონას ადანაშაულებს. პირველ რიგში ბერნსი აკრიტიკებს საზოგადოებას, რომლისთვისაც ყველა ეჭვმიტანილია იმ დანაშაულში, რომელიც არც არსებობს. კრიტიკის უმეტესი ნაწილი, რომელიც ამ წიგნზე დაიწერა, ძირითადად სოციო-ფემინისტურ დისკურსს უკავია. ამ მოხსენებაში კი განხილულია თუ რა სახით ვლინდება შიში და იდენტობის კრიზისი ისეთი საკვანძი საკითხების ფონზე,

როგორებიცაა უსაფრთხოება, თვალთვალი, იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი, გაუცხოება და სხვა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უსახელობა წიგნის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ნიშანია. უსახელობა არ მხოლოდ ადამიანების, არამედ ადგილების, ქუჩების, ქვეყნებისა. ბერნსი ამ ხერხით ქსოვს საზოგადოების იდენტობის საერთო ქსელს, რომელშიც ყველა და ყველაფერი გადაჯაჭვულია ერთამენთზე. იგი პერსონაჟებს ნათესაობით ან ოკუპაციურ სახელებს არქმევს, იქნება ეს უბრალოდ დედა, პირველი ძმა, ფრანგულის მასწავლებელი თუ მერძევე, მთავარ პერსონაჟს კი შუათანა და ჰქვია და შემდეგში ჩვენც ასე მოვიხსენიებთ. ეს ცხადყოფს რომ ინდივიდს მოცემულ საზოგადოებაში სერიოზულად არავინ აღიქვამს და ადამიანის ღირებულება მხოლოდ სხვებთან მიმართებაში განისაზღვრება.

რომანის ძირითადი პრობლემატიკა შიშით გამოწვეულ სირთულეებს უკავშირდება, რომლებშიც მთავარი ადგილი უსაფრთხოების არარსებობასა და პირადი საზღვრების მოშლას უკავია. საზოგადოებისთვის, რომელმაც ათწლეულები სისხლისმღვრელ კონფლიქტში გაატარა, შიში და დამალვა უცხო არ იყო. ეს იყო ფსიქო-პოლიტიკური გარემო, სადაც დაუწერელი კანონები მოქმედებდა და ამ კანონის დარღვევა ნებისმიერისთვის მოკვეთას უდრიდა. სწორედ ეს შეემთხვა შუათანა დასაც და გოგონა, რომელიც მანამდე ყურადღებას მხოლოდ კითხვის სიყვარულით იქცევდა, მოულოდნელად იქცა განტევების ვაცად. არავინაა კუნძული და რაც არ უნდა ანტისოციალური იყო, დგება მომენტი, როცა პოლიტიკურ და სოციალურ გავლენებს თავს ვერ აღწევ. ბერნსის ასახულ გარემოში პოლიტიკური დაძაბულობის გამო ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი თემა შეეძლო საკამათო საკითხად გაეხადა, რადგან მათ უხდებოდათ ფეხისწვერებზე სიარული, რათა ერთი საეჭვო სიტყვის გამო მოღალატედ არ შეერაცხათ და გისოსებს მიღმა არ აღმოჩენილიყვნენ, რადგან საზოგადოების აზრი ფანტაზიას ეყრდნობოდა. საზოგადოება, რომელშიც ბავშვებიც კი სახელმწიფო ძალების ან ამბოხებულების გადაადგილებას უთვალთვალებენ, თავის წევრს უსაფრთხოების გარანტიას ვერ მისცემს. შუათანა დის შემთხვევაში ამას უნდა დავუმატოთ მერძევის არასასურველი რომანტიკული ყურადღებისგან გამოწვეული პარანოა და შფოთი, რომელიც ღრმად აღწევს არაცნობიერში და მაშინაც კი, როცა შიშის ობიექტი შორსაა, მის არსებობას არ გავიწყებს.

ვულგარული მითქმა-მოთქმა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო კომპლექსურ, საკუთარ ნაჭუჭში მოქცეულ და ზედმეტად პურიტანულ უსახელო ქალაქში, რომელშიც სექსუალური საკითხებისადმი ინტერესი არაბუნებრივად მოჭარბებულია და თუ ერთხელ გახდი ჭორების საბაბი, რეპუტაცია სამუდამოდ შებღალული გაქვს, და უნდა გადახვიდე “წითელი ლამპიონების ქუჩაზე”, რომელიც

საზოგადოებისგან მოკვეთილებთან ასოცირდება, იქნება ეს განსხვავებული რელიგიის, ეთნოსის თუ ქორწინებაში არმყოფი წყვილები. როდესაც ქალაქი ცხოვრების არეალს გიზღუდავს, გამოდის რომ ტყვეობაში ხარ, რადგან ციხე მხოლოდ გისოსებიანი ოთახი არაა და მან შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღოს. საზოგადოებას ხშირად სჩვევია თავისი ურჩი წევრის დასჯისგან სადისტური სიამოვნების მიღება, რადგან დასჯა მას სიძლიერისა და კონტროლის ფლობის ილუზიას აძლევს. ასეთი დრაკონული წესების გამო შუათანა დას უწევს სტრატეგიების მოფიქრება თავის დასაცავად, მთელი სასიცოცხლო ენერგია საკუთარი თავის დაცვას ხმარდება და ადამიანი წყვეტს განვითარებას, შემდეგ კი ეს წყვეტა პიროვნულ დეგრადაციაში გადაიზრდება.

ამ ყველაფრის გამო შუათანა დამ დაკარგა გარშემომყოფებთან ემოციური და ფსიქოლოგიური კომუნიკაციის უნარი. მოჩვენებითი გულგრილობა საკმარისად ძლიერი იარაღი არ აღმოჩნდა თავის დასაცავად. ცდილობდა თავი უინტერესოდ და უსიცოცხლოდ წარმოეჩინა, იქნებ ასე მაინც დაენებებინათ თავი მისთვის. დროთა განმავლობაში იგი მართლაც გახდა ცარიელი და უსიცოცხლო, რადგან ადამიანი როცა ნიღაბს ირგებს ხშირად ეს ნიღაბი მისი განუყოფელი ნაწილი ხდება და ზღვარი თამაშსა და რეალობას შორის ბუნდოვანდება. რეალურად ჩუმად დარჩენით და ნეიტრალურობის შენარჩუნებით გოგონამ საკუთარ თავს სიმართლის თქმის თქმის მოპარა. საკუთარი თავისადმი გაუცხოება იმ დონემდე მივიდა, რომ იგი ვეღარ არჩევდა მართალს და გამონაგონს, ფაქტს და პარანოიას, საღ აზრს და შიშით ნაკარნახევ გადაწყვეტილებას.

> *ეს სიმუნჯე, რომელიც არსაიდან გამოჩნდა, ისე შორს წავიდა თავის განვითარებაში, რომ არა მხოლოდ ჩემი ტერიტორიის სხვა ხალხს მივაჩნდი მიუღებლად, არამედ თავადაც დავიწყე ფიქრი, რომ საკუთარი თავისთვის მიუღებელი ვიყავი. ჩემი შინაგანი სამყარო თითქოს გაქრა(ბერნსი 2023:192).*

ამდენად, უსაფრთხოების შეგრძნება პირდაპირ არის დაკავშირებული თავის გამოხატვის მასშტაბთან, საკუთარი თავის გამოხატვით კი ადამიანი განამტკიცებს მის პიროვნულ მახასიათებლებს. ამის არარსებობას მივყავართ იდენტობის კრიზისთან. ეს ყველაფერი ბადებს კითხვას, თუ ასეთ ზიანს აყენებს მას საზოგადოება, რატომ არ გაშორდება მას? საქმე ისაა, რომ ინდივიდი იზიარებს მოგონებებსა და გამოცდილებებს ამ საზოგადოებასთან, რაც ქმნის მათი კოლექტიური ყოფიერების მჭიდრო ქსელს, რომლიდანაც თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია(ფუკუიამა

2018: 57). რადგან იდენტობა სხვებთან მიმართებაშიც იზომება და ფორმირდება, ნებაყოფლობითი იზოლაცია სიტუაციას მხოლოდ გააუარესებს.

"ამ დროისა და ადგილისთვის ძალადობა მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო" და ნათელია, მთავარი ემოცია ამ ისტორიისა არის შიში. ირლანდიელებმა იცოდნენ რომ ეშინოდათ პოლიციის, ამბოხებულებით, აფეთქებების, მაგრამ შიშის უხილავი მარწუხების წყარო სულ სხვა რამ იყო: ესაა გამუდბეული თვალთვალი და კონტროლი. ბუჩქებთან ჩასაფრებული ამბოხებულები უზრუნველყოფდნენ წესრიგს, რომელიც რეალურად შენიღბული კონტროლი იყო. მათ მიერ დაწესებული ზღვრის გადაკვეთა კი ციხით, ან უკიდურეს შემთხვევაში ტყვიით მთავრდებოდა. მთელი საზოგადოება ეჭვმიტანილად ითვლებოდა. ამით უკვე ცხადად იხატება ის დისტოპიური შტრიხები, რომლებიც არამხოლოდ ჩრდ. ირლანდიის კონფლიქტს, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოს შეიძლება მოერგოს.

ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ ფუკო ნაშრომში *დისციპლინა და დასჯა (Discipline and Punish)* ავითარებს პანოპტიციზმის თეორიას. პანოპტიკონი არის ციხე წრიულად განლაგებული საკნებითა და ცენტრში აღმართული ზედამხედველის შენობით. ასეთ ციხეში პატიმარს აქვს განცდა, რომ მუდმივად უთვალთვალებენ, რადგან საკნის სარკმლები მთლიან საკანს ხილვად ხდის, მაგრამ თვითონ გარეთ ვერავის ხედავს. ამის გამო პატიმარი იქცევა დაკვირვების ობიექტად და კარგავს სუბიექტის თვისებებს. ასეთი ციხის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს მუდმივი თვალთვალის და დაკვირვების შეგრძნება რომელიც უზრუნველყოფს ძალაუფლების ავტომატური ფუნქციონირების დემონსტრაციას პატიმრებზე დამყარებული ტოტალური კონტროლის ფონზე(ფუკო 2012: 227). ციხის მაგალითის განზოგადებით გავდივართ თვალთვალზე, როგორც რეჟიმის უმთავრეს იარაღზე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ომში ჩაფლულ ჩრდ. ირლანდიაში ადამიანები სწორედ ამგვარ მარწუხებში იყვნენ მოქცეულნი.

ბერნსის მიერ აღწერილი ადგილისთვის არსებობს მხოლოდ "ჩვენ", და ყველა დანარჩენი ვინც მათიანი არაა არიან "ისინი". ამ პრიმიტიული დიქოტომიით საზოგადოება იქმნის მტრის ხატს. უმბერტო ეკოს განმარტავს, რომ საზოგადოება მტრის ხატის გარეშე ვერც არსებობს, მტრად კი ყალიბდება ის, ვისაც სახიფათოობა კი არ აქცევს განსხვავებულად, არამედ ის ვისი განსხვავებულობაც ხდება მისი სახიფათოობის ნიშანი(ეკო 2023:17). შუათანა დის ჩაკეტილობა, სიჩუმე და აპოლიტიკურობა მას სხვებისგან გამოარჩევდა და გამორჩეულობამ იგი რისხვის ობიექტად აქცია. ეკოს თქმით ერთადერთი ანტიდოტი არის მტრისადმი ეთიკური მიდგომა, მისი გაგებიბს მცდელობა ისე, რომ არ უარყო მისი განსხვავებულობა, თუმცა ამატებს, რომ ეს არარეალისტური მიდგომაა დღევანდელ სამყაროში, რადგან

საზოგადოება, რომელიც თავად იქმნის მტრის ხატს, არაა იმდენად კეთილშობილი, რომ ეს ხატი თვითონვე დაამსხვრიოს (ეკო 2017:34).

რომანში სოციუმის კონტროლის კიდევ ერთი იარაღი სირცხვილია. ამერიკელი ავტორი ფრენსის ფუკუიამა წერს, რომ ადამიანსკეთილდღეობისთვის მატერიალურ საგნებთან ერთად დადებითი შეფასების მიღებაც სჭირდება მის შინაგან ბუნებასთან და ღირსებასთან დაკავშირებით. თუ ადამიანი იღებს ამ დადებით შეფასებას გარშემომყოფებისგან, იგი ამაყობს საკუთარი თავით, ხოლო თუ ვერ იღებს, იგი განიცდის სიბრაზეს და სირცხვილს, რადგან ვერ ახერხებს საზოგადოების მიერ დაწეწებული ნორმების დაკმაყოფილებას(ფუკუიამა 2018:28). თუ უარყოფის პროცესი დიდხანს გრძელდება, იგი ადამიანის იდენტობის სრული განმსაზღვრელი ხდება და თუ მუდმივად ისმენ შენს თავზე მოგონილ ამბებს, ნელ-ნელა შენც მათ დაჯერებას იწყებ, როგორც ეს შუათანა დის შემთხვევაში მოხდა.

შუათანა დის მშვიდობისმოყვარეობა წარსულს ჩაბარდა როცა მან სხვებს საპასუხოდ სიჯიუტე და დუმილი შეაგება, იგი ბრაზობდა დაუმსახურებელი, უსამართლო განდევნის გამო. იგი საკუთარი დამოკიდებულების აღსაწერად იშველიებს სენტიმენტალურ მაგალითს ფილმის სახით, რომელშიც ერთი უბნის მკვიდრნი კოლექტიურად პატარა ძაღლს კლავენ, ამის მიზეზი შუათანა დის აზრით ისაა, რომ ძაღლს ყველა უყვარდა, ხალმა კი ვერ აიტანა, ვერ შეეგუა და მოერგო სიყვარულს, გულღიაობას და დაუცველობას. რეალურად ძაღლი სულ სხვა მიზეზის გამო  მოკლეს, მაგრამ გოგონასთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მან საკუთარი თავი გააიგივა უდანაშაულო ცხოველთან, რომელიც მასზე ძლიერების უსაგნო სისასტიკეს ეწირება. მან საკუთარი თავი მსხვერპლად დააიდენტიფიცირა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პერსონაჟი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, 18 წლისაა და ყოველგვარი ზეწოლა მის მყიფე ფსიქიკაში ღრმად ილექება. ამის გამო მას აქვს *ჟამე ვუ*(*jamais vu*) შეტევები. ესაა დეჟა-ვუს(*deja vu*) შებრუნებული მოვლენა, რომელსაც ახასიათებს მეხსიერების ბლოკირება – რაიმე ტრავმატულ, უსიამოვნო გამოცდილებას მეხსიერება ბლოკავს თავდაცვის მიზნით. შუათანა და გონების ამ ხრიკების მსხვერპლიც ხდება, რადგან მას სხვა საშუალება თავდაცვისა არ გააჩნია. ეს მოვლენა თავისებურად აძლიერებს იდენტობის კრიზისის განცდას, რადგან ფაქტების დავიწყება რეალობას ამახინჯებს და ილუზიებს კვებავს, ილუზიებით კი სიმართლემდე მისვლა რთულია. შუათანა და შემდეგნაირად განმარტავს მართალი ადამიანის ბედს თავის სოციუმში:

> *ისინი გამოწრთობილნი არიან პირადი და საერთო სირთულეებით, რომელსაც თან ახლავს სიმძიმე, გლოვა, შიში და ბრაზი…მთელი ჩვენი გარემო ჩაძირული იყო ერთ გრძელ, მელანქოლიურ ისტორიაში და თან იმ დონემდე, რომ ამ სიბნელეში შემოსული*

*ჭეშმარიტად გულღია და ნათელი ადამიანისთვის არსებობდა რისკი, რომ ამ სიბნელეს ვერ გადაიტანდა*(ბერნსი 2023:99).

შესაბამისად ჩანს, რომ ასეთ მტრულ გარემოში პირადი საზღვრების დაცვა შეუძლებელია, რადგან სხვები ყველაფერს აკეთებენ, რომ მათ ნაწილად გაქციონ, მოგიშინაურონ და თუ ამას ვერ მოახერხებენ, გაგრიყონ. მიუხედავად ამისა, წიგნის დასასრული დიდი პარასკევის შეთანხმების(Good Friday Agreement) წინასწარი, მინი ვარიაციაა(დაუნსი 2021:236), რადგან მერძევეჩამოშორებული შუათანა და თავისუფლად სუნთქვასა და ცხოვრებას იწყებს და ხვდება, რომ ამიერიდან მისი იდენტობა აღარ განისაზღვრება სხვების მოყოლილი ამბებითა და ტყუილებით.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს რომ მთელი ეს ისტორია გადმოცემული ბერნსის გამორჩეული წერის მანერით. ესეს სტილის თხრობას ანაცვლებს გამეორებები, ცნობიერების ნაკადის ტექნიკასთან მიახლოებული გადმოდინება პირადი დაკვირვებებისა, ირონია, მახვილგონივრული იუმორი და მსუბუქად გადმოცემული მძიმე საკითხები, რამდენადაც რომანის მთავარ თარგს ტრავმა და მისი ხანგრძლივი შედეგები წარმოადგენს ასახული შიშსა და იდენტობის კრიზისში. სოციოლოგიაში

მიჩნეულია, რომ ინდივიდის პიროვნული განვითარების ერთ-ერთ ძირითად მარწუხს საზოგადოება წარმოადგენს თავისი ეროვნული, რელიგიური და სოციალური დოგმებით(ფუკუიამა 2018: 57), შესაბამისად “მერძევე” განმსჭვალულია ჩაკეტილ საზოგადოებაში თავის დამკვიდრების უფლების მოსაპოვებლად მისაღები ნორმების მწვავე კრიტიკით. ავტორი ხაზს უსვამს ფსიქოლოგიურ და ანთროპოლოგიურ ნიუანსებს, რომლებიც საბოლოო ჯამში იდენტობის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორები ხდება. ესაა შინაგანი აღმოჩენებით სავსე მოგზურობა, რომელიც ასახავს როგორ ფორმირდება საკუთარი “მე”(self) გარეგანი ზეწოლის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ “მერძევე” გასული საუკუნის მოვლენებზეა დაფუძნებული, მისი პრობლემატიკა არც ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოებისთვისაა უცხო, რადგან ადამიანი დღესაც იგივე გამოწვევების წინაშეა, იქნება ეს პოლიტიკური, შეიარაღებული კონფლიქტი, თუ ტექნოლოგიური წინსვლისგან გამოწვეული იდენტობის კრიზისი და თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლა.

**ლიტერატურა:**

ბერნსი, ა,. (2023). მერძევე. თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა

ეკო, უ,. (2023). მტრის ხატის შექმნა და სხვა შემთხვევითი ტექსტები. თბილისი:დიოგენე

Downes, D. (2021). Anna Burns' Milkman. Studies: An Irish Quarterly Review, 110(438),231–240. https://www.jstor.org/stable/10.35939/studiesirishrev.110.438.0231

Foucault, Michel., (2012). *Discipline and Punish - the Birth of the Prison.* New-York: Knopf Doubleday Publishing Group;

Fuchs, A. (2022). The Translocalisation of Place: Sectarian Neighbourhoods, Boundaries and Transgressive Practices in Anna Burns' Belfast. In S. Ehrig, B. C. Jung, & G. Schaffer (Eds.), Exploring the Transnational Neighbourhood: Perspectives on Community-Building, Identity and Belonging (pp. 139–160).

Fukuyama, Francis., (2018). *Identity - Contemporary Identity Policies and the struggle for Recognition.* London: Profile Books; Leuven University Press. https://doi.org/10.2307/j.ctv30dxwr8.9

Jenkinson, R. (2021). The Troubles with Northern Irish literature. Fortnight, 483, 30–32. https://www.jstor.org/stable/